3 თებერვალი 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 25. ყოველკვირეული ჟურნალი № 25.



გრაკხების დედა შვილებს უქადაგებს ქვეყნის და ერის სამსახურს —

ლემბახის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX. როგორ მარხავდნენ თაგვები კატას?

ვალერიან გუნია ამით აუწყებს და თან აფრთხილებს „ცისკრის“ უსახელო მეფელეტონეს, ფ. მახარიძის მედიატორებს—ბ. ბ. ი. კაჩუხოვს და ვ. ნანეიშვილს და, საზოგადოდ, ყველა იმ „კუტრუსებს“, რომელნიც სიხარულის წრიპინს მოყვნენ, რომ ისინი ტყუილ-უბრალოდ დღესასწაულობენ ადრეულ გამარჯვებას.

ჩვენ ამ ჟამად უხერხულად მაგვაჩნია მხილება და კრიტიკულ ქარ-ცეცხლში გატარება იმ მოზღვავებულ ჭორებისა, სიყალბისა და თაღლითობისა რომელთა მონოპოლიური პრივილეგია დიდიხანია „ქართველ ესდეკებმა“ დაიჩემეს.

ჯერ ხანად, სანამ ფ. მიხარაძე და სხვანი თავს არ დაახწევენ განსაცდელს, ჩვენ ჩუმად ვიქნებით და ცისკარლებსაც და ეშმაკებსაც ამასვე ვურჩევთ.

სიზმარი

—

სიზმარი ვნახე, თუმც ბევრად
უნახველობა მერჩივნა:
ცრემლი მდიოდა, ვტიროდი,
ძალიან გული მეტკინა.
დავცურავ სისხლის მორევში,
ფონს ვეძებ გასავალადა,
თავ-ფეხი ადამიანის
დასცურავს გულის მწველადა
იქვე ჩემს თვალ წინ... მზარავდა,
მეჩვენებოდა გველადა.
გავხტი ნაპირას, მივრბივარ,
სახლის კარებსა ვხურავდი.
შინ შემომეჭრა მდინარე
სისხლისა. შიგვე ვცურავდი.
ჭერიდან წვიმა წითელი
კოკის პირულად დიოდა.
„ეგ შენთა მოძმეთ სისხლია“!
გარედან ვიღაც ჰკიოდა.
სად-ღა წავიდე? ველარსად!
ფეხზე ქალმები მცვიოდა.
ვერ გავექცევი სისხლის ტბას,
უსამზღვროთ გული მტკიოდა.
შორს, ეზოს გარეთ, ავს ხეზე
გველივით რაღაც წიოდა.
ვიდექ, ველარას ვამბობდი,
მდუღარე ცრემლი მდიოდა.
წივილ-კივილი, გოდება,
ისმოდა ყოველ მხრიდანა.
შავი იკვროდა ღრუბელი
დაბლა წვებოდა ციდანა.
„ხალხო, მოიდა ვეშაპი“!
კაცი იძახის მთიდანა.
შევხედე, მართლაც, ნისლივით
უზარ-მაზარი ცხოველი
მოსცურავს, რაკი წინ შეჰხვდა
ერთს წუთში შთანთქა ყოველი.
„მუხლთ მოვეხვევი“, ვიფიქრე,
თაყვანს ვსცემ, როგორც ღვთაებას,
ეგები სისხლის მსმელობა
მისი მოლბეს დი დაებას.
მაგრამ რა ვსთხოვო უდიერს?—
გველ-ვეშაპს, სისხლის გუდასა?
თხოვნით ვინ შეუწყალია
სიკვდილს და სულთა-მხუთავსა?
ვუცქერი სისხლში მცურავი
ამ გულის საკლავს სურათსა.
ვუცქერი, ვერაფერს ვსჩადი,
დამდუნებია მკლავები,
გულის ხვაშიადს მხოლოდა
გამოიტყოდნენ თვალები.
ეს იყო იმ დღეინდელი
ჩემი ნანახი სიზმარი...
ნუღარ მაჩვენოს უფალმა,
გულის საკლავი ძირ-მწარი.

ვაჟა-ფშაველა.

სოციალ-დემოკრატია სოფლად

(შემდეგი)

II

სანამ ამ სამარცხვინო ფაქტების აღნუსხვას შეგუდგებოდე, მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა იმაზე, თუ რა გარემოებამ მაიძულა ამ ფაქტების გამოშუდავნება, ისიც გაზეთის ფურცლებზე. როგორ? იტყვის ეგედა, ვისაც კი ხალხის მოძრაობის საქმე თავისად მიაჩნია და ვასაც ისე თუ ისე ბრალი ედება და თუ აქტიურად არა, პასიურად არის მაინც დამნაშავე ამ საქმეში.— ეს ხომ რეაქციის ხელის შეწყობაა! ეს ხომ ავნებს რევოლიუციის საქმეს? ეს ხომ სახლიდან კარში ნაგვის გატანაა? დიახ, ეს ასეა და ამიტომ მე ეს სამარცხვინო საბუთების ქადაღდები ორი წლის განმავლობაში სხვა ქადაღდებთან ერთად მაგიდის უჯრის შორეულს კუნჭულში მქონდა შენახული და არამც თუ გაზეთის ფურცლებზე, ჩემს გულითად მეგობრებსაც კი ვუმალავდი და არ ვუკოსავდი.

მე ვფიქრობდი: ვინც სტოცხლობს მოძრაობს და საქმეს აკეთებს, ის შეცდომას გვერდს ვერ აუხვევს: „ერთი ალილუია მდმდელსაც შესცდებაო“ ნათქვამია. შესცდება, რადგან ადამიანია. მით უმეტეს შესცდება ბარტია, რადგან იგი შესდგება მრავალ ადამიანებისაგან და თანაც დაუსახავს დიადი, მეტად რთული და მეტად ძნელი საქმე. ეს ასევ. ეს უველამ კარგად იცის და საქმე მხოლოდ იმაშია, შეიგნებს თუ არა ადამიანი, თუ ადამიანთა კრებული, მის მიერ ჩდენილს შეცდომას და თუ შეიგნებს, საჯაროდ აღიარებს, შეინანიებს და ვაჟ-კაცურად დაჭგმობს მას თუ არა?! ვნახოთ ახლა, რამდენად შეიგნეს, რამდენად შეინანიეს და რამდენად დაჭგმეს თავიანთი შეცდომანი ჩვენში მომქმედმა ბარტიებმა.

რუსეთის დიდი რევოლიუციის ერთი სიფეხური უკვე გავიარეთ. როგორც ამას ხალხის მოძრაობის კანონები მოითხოვს. დღეს მოელს სასულმწიფოში სასტიკი რეაქციაა გამეფებული. აგერ მესამე წელიწადი მიდის, რაც მოძრაობა, მოქმედება ტოტად თუ ბევრად შესდგა და როგორც ხალხი, ისე მომქმედი ბარტიები ნებაყუნებურად ისვენებენ და საუკეთესო მომენტის მოლოდინში დადუმებულნი, ხელებ დაშვებულნი, რეაქციას ანგარიშს უწევენ. მგონი, რომ საუკეთესო დრო იყო, უკან მიგვეხედნა, თვალი გადაგვევლო უკვე განვლილი გზისთვის და კრიტიკულის თვალით შეგვეხედნა ჩვენი მოქმედებისთვის. საუკეთესო დრო იყო, იმ ბარტიებს, რომლებიც ხალხის მოძრაობას ხელს უწყობდნენ, საქმეს სათავეში უდგნენ და ხელმძღვანელობდნენ, დამშვიდებით, დაფიქრებით შეედგინათ ჯამი წარსულისა, აეწონათ ოფველი ნაბიჯი, როგორც თავისი ისე სხვის მოქმედებისა და რაც საქმისთვის საზარგებლო და საზიკეთო იყო შემდეგში უფრო საზარგებლოდ გამოეყენებინათ, ხოლო რაც შესცდათ, რამაც საქმეს ავნო, რაც მოუფიქრებელი და სახიფათო იყო, დაეგმოთ და თავის მომავალ მოქმედების ბრაგრამიდან განედევნათ.

ასე მოიქცეოდა ოფველი ჭკუამოფფელი და სინიდისიერი ადამიანი, ასე უნდა მოქცეულიეკნენ ჩვენში მომქმედი ბარტიები. ამას თხოულობს საქართველოსნობა, ამას თხოულობს ხალხი, ის ხალხი, რომელიც საშინლად დაზარალდა მოძრაობის დროს, რომელმაც თავის თავზე განიცადა მთელი ტანჯვა-ვაებ როგორც მოძრაობისა, ისე მისი ცუდი შედეგისა. ამ ხალხმა უნდა იცოდეს, რად დამარცხდა, ვინ, ან რა იყო მიზეზი დამარცხებისა. მოძრაობის რომელი მხარე იყო ცუდი და რომელი კარგი. ერთის სიტუვით უნდა იცოდეს, რა მოხდა, როგორ მოხდა და როგორ ჩავარდა ის უარეს ბირობებში, ვიდრე დღემდე იყო. ამის მაგიერად რას ვხედავთ? როგორ, რა სახით გაუწიეს ანგარიში წარსულს ჩვენმა ბარტიებმა? გადაათვალიერეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, მიუგდეთ ყური მიქმა-მოქმას, სჯასა და ბაასს, რას ნახავთ, რას გაიგონებთ იქ დაინძღვა-გინებისა, ციდის წიმებისა, განზრახ შეთხზულ ჭორებისა და სხვა ამ გვარ ჭუჭეისა და სიბინძურის მეტს? ეარმოიბინ და ერთმანეთს დანძღვენ უშნოდ, ულაზათოდ და ულუსოდ. ოფველ მათ სიტუვასა და ფრაზაში გამოსჭვიფის უსინდისო თავის მართლება, სიცრუე, სიყალბე და სხვა მრავალგვარი ადამიანის დამამცირებელი გრძნობანი. არც ერთი გულწრფელი სიტუვა, არც ერთი ფრაზა, დომელიც ამ ტკიცებს საქმის სიეკვრულს.—მე ვარ მართალი!—გაიძახის ერთი. არა, მე ვარ მართალი!—ამბობს მეორე.—მე უცოდველი ვარ?—ამტკიცებს მესამე.—არა, შენ ცოდვიანი ხარ, მე ვარ უცოდველი.—უპასუხებს მეოთხე.

აი, ბატონებო, თქვენი მოქმედების დამახასიათებელი ფაქტები და ვინც არ არის მტუანი და ვინც არის უცოდველი, აქედან გიმოჩნდება *).

დავიწუოთ იმ საზიზღარსა და უსინდისო საქციელიდან, რომელიც ნათლად ახასიათებს რაზმელებისა და ბრაბანგანდისტების ავაზაკობას, სახელდობრ ქალების გაუპატიურობიდან.

სოფელს ს-ში ერთ გლეხს, ერთად ერთი ქალიშვილი ჰყავდა. გლეხი საკმაოდ შეძლებული იყო და ერთი სურვილი მისი იყო, კარგსა და ბატიოსან კაცისთვის შეეთხოვებინა ქალი, რომ შემდეგში თავის საცხოვრებელი მისთვის გადაეცა. ქალს ბევრი მათხოვარი ჰყავდა, როგორც თავის, ისე სხვა სოფლებში, მაგრამ დედამამა შვილის გათხოვებას არ აჩქარებდა და უფრო კარგს სასიძოს ეძებდა. ამ გვარად გავიდა ხანი და სოფელში მოძრაობა დაიწყო. დედამამამ ქალის გათხოვებაზე ფიქრსაც კი დაანებეს თავი, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. იმავე სოფელში ცხოვრობდა ერთი გლეხი, ოფველად კარეგნილი და გასაძაგლებული ახალგაზდა, რომელსაც სახლიცა და კირიც დოთობაში გადაგო და სამადლოდ ხან ერთ მეზობელს შეეხიზნებოდა, ხან მეორეს. არდანზე მოქეიფესა, მოჩხუბარსა და ოფველად კარეგნილების მიმდევარ კაცს, თანაც გადაღრიბებულსა და გადატაკებულს მზითვიანი, მდიდარი დედამამის შვილი, თანაც ლამაზი და მოხდენილი ქალი, რასაკვრელია, თვალსა და ჭკუაში მოუვიდა და ერთ მშვენიერ დღეს ქალის დედამამას მაშუალი მიუგზავნა. დედამამამ მაშუალები დალანძღა და სახლიდან დაითხოვა.

*) ამ წერილებში ჩვენ, საზოგადოდ, ყველა პარტიებს ვუსაყვედურებთ, როგორც უვარგისი პროპაგანდისათვის, ისე ამ პროპაგანდის განმახორციელებლების უზნეო, შეუფერებელ, ხშირად ავაზაკურ მოქმედებისთვის, ხოლო თუ ამ წერილებს სათაურად „სოც.-დემოკრატია სოფლად“ ვუწოდეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ის პროპაგანდისტები და რაზმელები, რომლებზედაც აქა გვაქვს ლაპარაკი, მოქმედებდნენ ს.-დემ. დროშის ქვეშ და ამ პარტიის წევრებად ითვლებოდნენ. საზოგადოდ, ამ პარტიას მთელი სოფლები ხელში ეჭირა, ყველგან ბატონობდა და, როგორც კარგი, ისე ცუდი მხარე მოძრაობისა, მხოლოდ ამ პარტიას უნდა მიეწეროს.

ალმოსავლეთის ვარსკვლავი — ზიხელის ნახატი.

ეს იყო სწორედ მაშინ, როდესაც მოძრაობა სოფელში მეტად გამწვავებული იყო. მთავრობა ოფიციურად ადარ არსებობდა და მთელი იმ რაიონის ბატონ-პატრონნი ს.-დემოკრატები იყვნენ. დაწუნებულმა სიძემ, რასაკვრველია, ს.-დემ. ადგილობრივ ორგანიზაციას მიმართა: ქალი ცოლად მინდა და არ მაძლევენ, ეს როგორი თავისუფლებაა!

ამ საქმის მორიგება იდო თავზე რაიონის რაზმის უფროსმა. შეჯდა ცხენზედ, გაიყოლა რამოდენიმე რაზმელი და „თავხედს“ გლეხს კარზე მიადგა.

— რატომ არ აძლევთ ქალს ამა და ამ კაცსა?— მრისხანედ შეჰკივირა რაზმის უმფროსმა თავზარდაცემულ დედამამას.

— ბატონო, შენი ჭირიმე, როგორ მივცეთ! დოთია, შარლატანია, ჩვენს შვილს ფულებს შეუჭამს და ისევ ჩვენ მოგვიგდებს. გვაპატიეთ, ვერ მივცემთ.

— როგორ თუ ვერ მისცემთ?! თქვენ არ იცით, რომ ერთობაა და თქვენ არავითარი უფლება არ გაქვთ შვილზე! გამოიყვანეთ ამ საათში ქალი!—შეჰკივირა „თავისუფლებისთვის მებრძოლმა“ თავის ამხანაგებს და რამოდენიმე წამის შემდეგ თმა-გაწეწილსა, ტირილითა და ხვეწნით დაოსებულს ემაწვიდ ქალს მიათრევდნენ სახლიდან რაზმელები, გულშეწუხებულ დედ-მამას კი მეზობლები წყლით აბრუნებდნენ.

მაგრამ ამით არ გათავდა „**თავისუფალ ხალხის თავისუფლად არჩეულ ადიმიანის**“ სამართალი. როგორც ზევით ვსთქვით, ქალი მეტად ლამაზი და მომხიბლავი იყო. რაზმის უფროსს თვალში მოუვიდა მოტაცებული ქალი და იმის მაგივრათ, რომ ეკლესიაში წაეყვანა და „ნაძალადევ სიძეზე“ გადაეწერა ჯვარი, ტყეისკენ შეუხვია, „სიძეს“ ორიოდე მიორანი უბრალოდ უკან დაუბრუნა, თვითონ კი რამოდენიმე რაზმელის თანხლებით ქალი ტყეში წაიყვანა და... გაუპატიურა.

ერთი კვირის შემდეგ ქალი ტყიდგან ჩამოიყვანა და ბირველ სასიძოზე უფრო გარეგნილსა და გასაძგლებულ კაცზე გადასწერა ჯვარი.

ამ ყამად გაუპატიურებული, სახელ-გატეხილი ქალი ისევ დედმამას დაუბრუნდა და იმათთან სცხოვრობს ..

(შემდეგი იქმნება)

ხეობელი.

გასწი, იარე ეკლიანის გზით!

—

ძმავ, მეგობარო, შვილო ხალხისა,
შეკრულო მასთან საერთო მიზნით,
ვინც რა უნდა სთქვას, ყურს ნუ მიუგდებ,
გასწი, იარე ეკლიანის გზით!

—

ძმავ, მეგობარო, უსახლ-უკარო,
შენი ცხოვრება სავსეა ტანჯვით,
მაგრამ გახსოვდეს შენ მხოლოდ ხალხი,
მისთვის იარე ეკლიანის გზით!

—

დე, ავ-ენებმა გარს გისრიალონ,
გასისინებდნენ ასპიტ გველივით,
ვიდრე გაქვს ლონე, დაჩაგრულთათვის
ატარე დროშა ეკლიანის გზით!

—

და როცა ჯანი დაგისუსტდება,
ძირს დაეცემი მკერდ-განგმირული,
„ჩემთვის ვიდოდა ეკლიანის გზით“
დაიქვითინებს ხალხისა გული!

—

წმინდათ-წმინდაა ქვითინი იგი,
გმირის საფლავზე, გრძნობა აღგზნებით,
მანამდისინ კი, ძმავ, მეგობარო,
გასწი, იარე ეკლიანის გზით!

ი. ევდოშვილი.

არცა დევს და არცა მშიანო

—

ამას წინად შემხვდა პოსლიკაანთ ჭანჭურა. დიდი ხანია არ მენახა და საკურველიც არ არის რომ ჩვენი საუბარი ხან იქითურზე გადახტებოდა, ხან აქეთურზე.

მაგრამ ერთს ცხრა წუთსაც არ გაევლო, რომ

ჭანჭურას აზრობას ცვლილება შევამჩნიე. თან და თან შემოურია და გაახშირა სოციალ-დემოკრატული ტერმონოლოგია და როცა საუბარმა გაიტაცა, იმერულადაც უქცია.

ეჭვი ავიღე, ნუ თუ ჭანჭურა—პატრიოტი, „ქეშმარიტი ქართველი“, ჭანჭურა—ხუთი დღიურის ფეოდალი „გააფხანაკებულა?“

ველარ მოვითმინე, ვკითხე: „შენ რამლა გაგასოც.-დემოკრატა — მეთქი?—და აი რაები მომიყო:

— რას ამბობ, კაცო, სანამ ნაციონალისტი ვიყავი, ათასი დარდი და ვარამი მაწუხებდა. ახლა კი, როცა მარქსის მოძღვრება შევისწავლე, ისე ვგრძნობ ჩემს თავს, თითქო ახლად დავიბადეო. კაცო, თვალები ამეხილა, ყველა წყეული საკითხები გადავწყვიტე, ყველა სევდა გულიდან გადამეყარა, ყველა ამაო ზრუნვა თავიდან მოვიშორე, და შევიგენ ნამდვილი მიზანი კაცობრივის ცხოვრებისა.

ვწველით გლეხსა, ვ[illegible]... უნდა შეექმნა
პროლეტარი,
მაგიერად სოციალიზმში შეიქმნება ის ნეტარი!

უწინ გული მიკვდებოდა, როცა ჩვენი ხალხის სიღატაკეს ვხედავდი. ჩვენი ქვეყნის ბუნებითი სიუხვე, ჩვენს გარდა, ყველა მილეთის ხალხმა გამოიყენა. ვაჭრობა და მრეწველობა სხვის ხელშია. ჩვენ გუთანიღა შეგვრჩა. მაგრამ ამ ბოლო დროს სხვა ხალხების სასოფლო მეურნეობა ჩვენს ნაწარმოებს სდევნის ბაზრიდან. ჩვენი მუშები სამუშაოს ჰკარგვენ და ჩვენი ნასწავლი კაცები ან უსაქმოდ სხედან, ან მთავრობას ემსახურებიან.

ეს არ იყო მუდამ ჩვენი გოდება? ხომ გახსოვს.

ჰო და მარქსი რომ შევისწავლე, ახლა ვხედავ რა შემცდარის აზრისაც ვიყავი. ჩვენი ეკონომიური დაქვეითება სავალალო კი არა, ბედნიერება ყოფილა სხვა ხალხებთან შედარებით, ჩვენ მაგიერ უფრო დავუახლოვდით პროლეტარიზაციას და შემდეგ სადამე ჩვენ უფრო მომწიფებულ ვართ სოციალიზმის შესაგნებად და მის განხორციელებაში უდიდესი წილი, რასაკურველია, ჩვენ გვექნება. ნუ თუ ასეთი კულტურული დაწინაურება არა სჯობია სიმდიდრის შეძენას, რომელსაც სულს ალევენ სომხები!?

მე რომ ფეოდალი ვიყავი, ძალიან მწყინდა როცა თავად-აზნაურების მამულები სომხების ხელში გადადიოდა.

მაგრამ სოციალიზმმა დამანახვა ნამდვილი ღირსება ამ მოვლენისა. ეგ შოვინისტებისათვის არის მხოლოდ საწყენი, რომელთაც ჰგონიათ ვითომც მიწას სხვა რაღაც ღირსება აქვს, გარდა ეკონომიურის ფაქტორისა. ნამდვილ კი მიწა მხოლოდ სასოფლო მეურნეობის იარაღია და თუ მშრომელის ხელში არ არის, სულ ერთია ვინც უნდა იყოს მისი პატრონი. მემამულე ქართველი, რუსი თუ სომეხი,—ყველა მემამულეა, მუქთა-მჭამელი და ექსპლოატატორი, ყველა გამოართმევს გლეხს ღალას.

ასეთივე შოვინისტური შურია, ჩვენს მხარეში რუსს გლეხებს ნუ გადმოასახლებენო. სოციალისტური იდეალი ის არის, რომ მიწა მშრომელის ხელში იყოს და არა ის, რომ ეს მშრომელი ამა და ამ ტომის კაცი იყოს. მიწა მიწის მუშაკს, აი უაღრესი სამართალი. ოღონდ ეგ სამართალი აღსრულდეს და დაე საქართველო მაგის სანაცვლო იყოს.

მე რომ ინტელიგენტი ვიყავი, ძალიან მაწუხებდა ჩვენი ხალხის ეგრეთ-წოდებული გაუნათლებელობა,

მაგრამ როცა შევიგენ კლასობრივი ინტერესები, მაშინ ვცან რომ ხალხს სრულებით არ ესაჭიროება ინტელიგენციის მოგონილი განათლება. თვით ხალხია სინათლის დასაბამი და ცოდნის სათავე, და სასაცილო არ არის, კაცმა სინათლის განათლება მოინდომოს?!..

ხალხი განათლებით კი არა, კლასობრივი ინტერესებით უნდა გაიჟღინთოს, როცა ხალხი შეიგნებს, რომ მარტო ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ვართ მისი მეგობრები და მისი ინტერესების დამცველნი, სხვა პარტიები კი მისი მტრები არიან, აი მაშინ იქნება ნამდვილი განათლება. რაც უნდა ეცადოს ინტელიგენცია, ჩვენს გარდა ხალხს ვერავინ მისცემს კულტურას.

ისიც მწყინდა, რომ ჩვენს სტუდენტებს გარდა ადვილის იურისპრუდენციისა, ეზარებათ და ეძნელებათ სხვა მეცნიერების შესწავლა, და ამიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც გვაკლია ტეხნიკური ცოდნის კაცები.

მწყინდა მიტომ რომ ვერ შემეგნო კლასობრივი ინტერესები. არ მესმოდა რომ ინჟენერების და ტეხნიკოსების გამრავლება ქართველ ბურჟუაზიას შესჭურვიდა მეცნიერებით და ხელს შეუწყობდა მუშა ხალხის ექსპლოატაციას. — მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს ინტელიგენციას უმეტესად უსაქმო იურისტები შეადგენენ. ესენი უფრო ადვილად ითვისებენ მარქსის თეორიას.

მე რომ ნაციონალისტი ვიყავი, მუდამ მაღონებდა მთავრობის პოლიტიკა ცხადია, მთავრობა დევნის ჩვენს ეროვნებას, ლამის გაგვარუსოს. ამასვე სჩხავიან მუდამ ჩვენი ბურჟუაზიული პარტიები და სცდილობენ გაგვიტყუონ ნაციონალისტურის ბრძოლის ველზედ.

მაგრამ ჩვენმა პარტიამ, იმის მაგიერ რომ ამ უნაყოფო ბრძოლას ხალხის ძალები შეალიოს, უარჰყო სრულებით ეროვნობა, და ამით ხელიდან გამოაცალა იარაღი მთავრობასაც და ხალხის მტრებს— ნაციონალისტებსაც.

განა ეს უნიჭიერესი ტაქტიკა არ არის პარტიისგნით?! ახლა რაკი მთავრობამ და ჩვენმა შოვინისტებმა თავიანთი ოინებით ხალხს კლასობრივი შეგნება ვერ დაუბნელეს, ბრძოლა აუცილებლად ეკონომიურ ნიადაგზე უნდა გადავიდეს. იქ კი ჩვენი სრული გამარჯვება უეჭველია.

მე რომ კლერიკალი ვიყავი, შემაძრწუნებელ უსამართლობად მიმაჩნდა ჩვენი ეკლესიის დამონება და ყველას ვაწვევდი ავტოკეფალიის აღსადგენად.

აქამდისაც ვიქნებოდი დაბრმავებული, პარტიას რომ არ გამოაშკარავებინა ჩვენი კლერიკალების ხრიკები, რომლითაც ლამობდნენ გაეტყუებინათ ხალხი კლასობრივი ბრძოლის ველიდან. პარტიამ გააფთხილა ხალხი და ხალხმაც ზურგი შეაქცია ავტოკეფალიას, და ამით გადასწყვიტა ჩვენში მწვავე საკითხი ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევებისა.

მართლაც, დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს პარტიას კაცობრიობის წინაშე, იმიტომ რომ ის საკითხი, რომლის მიზეზით ამდენი სისხლი დაიღვარა და აქამდის შეადგენს თვით ევროპის კულტურულსანი ხალხების ვარამსა და სატკივარს, ჩვენმა პარტიამ სამუდამოდ მოაშორა თავიდან ჩვენს ხალხს და ამ მხრით ევროპის ერებზედაც წინ წაგვაყენა.

მე რომ ბურჟუა ვიყავი, გული მიკვდებოდა, როცა მესმოდა, რომ რაც ყოველ დღე ჩვენში საზიზღარი ავაზაკობაა, თითქმის სულ ქართველების ჩადენილია და ავტონომისტებთან ერთად ვიძახდი: გაირყვნა ჩვენი ხალხი და არავითარი ზნეობრივი შეგნება შერჩენიაო!

მხოლოდ ახლა შევიტყე, რომ ამდენი კაცისკვლა, ძარცვა გლეჯა და შანტაჟი თავ-ბოლ-ბალ-ბალ-ხის უზნეობისა კი არა, სულ მთავრობის ბოლ-ბალ-ყური დამიგდე.

ჩვენს ხალხში, როგორც უფრო შეგნებულს და დაწინაურებულში, ერთობ მოგროვდა რევოლიუციონური ელემენტები. მთავრობა ხელს უცარავს პარტიას შეაერთოს და დარაზმოს ეს ელემენტები, იერიშის მისატანად ძველს რეჟიმზე. რაკი ამ ელემენტებს ორგანიზაცია და პარტიის მოთავეობა აკლია, ყველა თავის ნებაზე მოქმედობს და პროლეტარიატის ძალები ტყუილად იხარჯება წვრილმანს და კერძო რევოლუციონურს აქტებში.

მართალია, სამწუხაროა ასე ცალ-ცალკე ბურჟუა-ფეოდალების ხოცვა და ექსპროპრიაცია, მაგრამ ეს მოვლენა მაინც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს ხალხში ისევ ღვივის რევოლიუციის ცეცხლი, რომ რეაქციამ ვერა სძლია ჩვენს ხალხს სხვებსავით.

მე რომ ნაციონალისტი ვიყავი, იმასაც ვწუხდი რომ შესწყდა ჩვენი ლიტერატურის ზრდა.

მაგრამ ამ მოვლენასაც რომ სოციალისტური თვალსაზრისით გაითვალისწინებ, დარწმუნდები, რომ მაგისთვის ნაღვლობა ცარიელი შოვინიზმია.— აზრს არა აქვს სამშობლო და მისი ნაწარმოები მთელს კაცობრიობას ეკუთვნის. რუსის ან ფრანგის ნაწერი, განა ქართველ კაცს სარგებლობას ველარ მოუტანს, იმიტომ რომ ქართულად არის ნათარგმნი? ნუ თუ თხზულება მხოლოდ მაშინ არგებს ჩვენს ხალხს, თუ პირველად ქართველს დაუწერია?

ვთქვათ, ჩამოვრჩით კიდეც სხვა ხალხებს ლიტერატურის განვითარებაში,—მერე მაგით მითომ რაო? სამაგიეროდ განმათავისუფლებელს მოძრაობაში ყველაზედ წინ ჩვენ ვიყავით. კაცი იდიოტი ან ნაციონალისტი უნდა იყოს, რომ კლასობრივი ინტერესების შეგნება ანაცვალოს რამდენსამე ლექსს ან მოთხრობას!..

ახლა ხომ ხედავ, რა საუცხოო რამა ყოფილა მარქსის მოძღვრება, რამდენს ტყუილს ჯაფას აშორებს კაცს თავიდან. განა შეიძლება კაცს ერთი ნამცეცი ჭკუა ჰქონდეს და სოციალ-დემოკრატი არ გახდეს!?..

— რა მოგახსენო, იქნება მაგისათვის მართლაც დიდი ჭკუა არ იყოს საჭირო,—მივუგე მე,—მაგრამ აქ საქმე სულ სხვაა, შენ, ძმაო, სოციალიზმში მარტო მოძღვრება კი არა, ნამდვილი ნეტარება გიპოვია, ხალხის კეთილდღეობა და განათლება, მისი მიწა-წყლისა და ეროვნების დაცვა, მისი ეკლესია და ზნეობა, მეცნიერება და ლიტერატურა,— ეგ შენთვის სულ მეტი ბარგი ყოფილა. ოღონდაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი ყოფილხარ, ჭანჭურ-ჯან! ჭამე, სვი და
იქეიფე, სხვა არაფერი დაგრჩენია!..

ზევით-დალმა გადმომხედა:

— როგორ თუ არაფერია!.. პროპაგანდა და
აგიტაცია?!..

რიშ ბაბა.

სიზმარი.

(ვუძღვნი თავდადებულთა ხსოვნას.)

—

ვნახე სიზმარი, რომ ერთხელ ზეცა
მიწისა შვილთა განრისხებოდა
და ჭექა-გრგვინვით, წვიმა-ქუხილით,
განადგურებას ემუქრებოდა...
თავდაპირველად ხალხი ამ რისხვას
სულგანაბული შესჩერებოდა
და თუმც უჭირდა, მაგრამ მაინც,
დამონებოდა, შერიგებოდა...
თანვე ჰფიქრობდა: „აწი ზეცასაც
ჭექა-გრგვინვანი მოსწყინდებაო
და ჩვენც სულ მალე მას მოვესწრებით,
რომ კარგი დარი დაგვიდგებაო...
ნიაღვრისაგან წამხდარი არე
ფერს გამოიცვლის, აყვავდებაო
და აი მაშინ, ამ ახალ ჟამსა
ვიცხოვრებთ, როგორც მოგვიხდებაო...“
ამ მოლოდინში დრო გადიოდა,
(უკედ რომა ვსთქვად) იკარგებოდა
და კაცი ქვეყნად, როგორც რომ გუშინ—
დღესაც ისევე იტანჯებოდა...
ს ხარულისა ნაცვლად ყოველგან
ტირილ-ქვითინი გამოისმოდა
და ცისა ჭექა-მრისხანებასა
ბანსა აძლევდა, უერთდებოდა...
კვნესოდა ხალხი... დიდხანს ითმენდა
და როცა ზეცამ არ მოიშალა
სიმკცრე, მაშინ გამწარებულმა
ერთი საშინლათ დაიღრიალა:
იჭექე მკაცრო, სასტიკო ზეცავ,
გვტყორცნე მეხები, გაგვატიალე
და ჩვენს სხეულზედ, რაღას უყურებ,
ყველგან კოცონი დააბრიალე!
მხოლოდ, იცოდე, რომ საუკუნო
არა რა არის, არც რამ იქნება
და ის ცეცხლიცა, რითაც ჩვენ დაგვწვავ,
როცა იქნება, დაგინელდება!...
იჭექე ზეცავ, გვაფრქვიე ცრემლი,
ამ გვარს სიცოცხლეს გვიჯობს სიკვდილი,
ნუ, ნუ შედრკები, განაგრძე მაგრე,
ანხორციელე შენი სურვილი!...
ჩვენ მოგვსპობ არა?!.. ჩვენსა სანაცვლოდ
ბუნება ქვეყნად სხვებსა გააჩენს
და იმისათვის ჩვენც დღეს თამამად
ვუცხადებთ პროტესტს შენსა განაჩენს!
თან ვაშა... ვაშა!.. მეტი რა გეთქმის?!..
ეგ არის შენი დანიშნულება?..
ალბად ეგ არის და ამიტომაც
აღარ გვსურს შენ ქვეშ ყოფა-ცხოვრება!..
ხალხის ღრიალზედ ზეცა შეჩერდა
მიეცა ფიქრებს და ჭმუნვარებას
და გულში ბჭობდა:—დროა სწორედო
ყური ვათხოვო ხალხთ ძლიერებას,
თორემ, ვინ იცის, ბოლოს რა მოჰყვეს
იმათ პროტესტსა, მათ მღელვარებას!
თან ის არა სჯობს, ცოტა დავუთმო,
ვინემ მათ ძალით ბევრი წაიღონ
და ამის შემდეგ სამუდამოდა
ჩემს დიდებაზედ ხელი აიღონ?!..
დიახ, ასე სჯობს!..“ სთქვა გადაწყვეტით
და ხალხსა მისცა სიტყვა-პირობა:
რომ დღეიდგანო ჭექა-ქუხილი
აღარ იქნება და მოისპობა...
პირობის შემდეგ ღრუბელთ გროვისგან
განთავისუფლდა ცისა კამარა,
ბნელეთში მყოფთა ნათელი ნახეს—
მზე გამოვიდა, გამოიდარა...
ხარობდა ხალხი ათასობითა
მინდვრად და ველად იკრიფებოდა
და შეერთებით, ხმა შეწყობილად
მზისა სხივებსა აქებ-ამკოგდა.
თან გამარჯვებით გატაცებული
ამ დათმობასა არ ჯერდებოდა
და წინანდელზე უფრო მედგრადა
ზეცას უფლებებს ეცილებოდა...
განრისხდა ზეცა. სთქვა: ჭკვა წავაგე
ჩემი საქმენი ცუდათ არიო...
რისი დათმობა!.. მიწის ბინძურთა
გასწმენდავს ხოლოდ ნიაღვარიო!..“
და ასტყდა ჭექა, მეხთა გრიალი,
მათ ცეცხლის წვიმა მოჰყვა ხელადა
და ჩემ თვალთა წინ გამოიჭიმა
კაცთ დასასჯელად წარღვნა ქვეყნადა...
ვხედავდი აგერ, გმირთა გმირები
ათასობითა იხოცებოდნენ
და ამხანაგთა, ტოლთა, მეგობრებს
მხოლოდ ერთს რასმ ეევედრებოდნენ:
—ჩვენი სიკვდილი ნუ შეგაშინებთ,
არ დაგავიწყდეთ თქვენი ვალიო,
იბრძოლეთ მედგრად და გამარჯვება,
როცა იქნება, თქვენი არიო!..“
ყურსა ვუგდებდი მე იმათ სიტყვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ღრმად იგი მებეჭდებოდა
და მრწამდა მტკიცედ, რომ დღეს, ან ხვალე
ის უეჭველად გამართლდებოდა.
მაგრამ დიდებულ გმირთა დაღუპვას
მხოლოდ ვუჭვრეტდი, ვერას ვშველოდი,
ცრემლებსა ვღვრიდი ჩუმად, მონურად
თავს ვაწყევლიდი, ვიტანჯებოდი...

—

ბოლოს, როდესაც გამოშეღვიძა
ვნახე შიშისგან მთლად ვკანკალებდი
და ჩემსა სიზმარს, გულისა მომკვლელს
ცხადსა ცხოვრებას რომ ვადარებდი,
სწორი სჯობს, რომ ვთქვა, განსხვავებასა
მე იმათ შორის ვერა ვპოვებდი...

ქუთაისი. პეტრე.

სომხის მწერლები და მოღვაწენი.



მიხეილ ჯაბარი
(სომხ. დრამ. საზ. თავმჯდომარე).

„ულაპიზმი“

—

„მსხვილი წვრილს ულაპავს ქვეყნადა“—
ამას ქადაგებს მარქსიზმი
და ცხოვრებაში იმარჯვებს
მხოლოდ და მარტო „ულაპიზმი“.

***

ძირი ვუჩხრიკე ცხოვრებას,
ვიპოვე კაპიტალიზმი,
მსოფლიოს ღერძად ღაღად-ვყავ
მხოლოდ და მარტო „ულაპიზმი“.

***

გადავიკითხე შლოსერი,
ბოკლი, დარვინი, „პაპიზმი“

სომხის მწერლები და მოღვაწენი.



ლეო ბაბახანიანი
(25 წლის იუბილეის გამო).

და დასკვნად გამოვიყვანე:
„ისტორიული ულაპიზმი“.

***

თეორიიდან პრაქტიკით
კუჭს მივულოცე „ლომიზმი“
და დავგმე ხალხის დუმაში
პოლონელთ ავტონომიზმი.

ჯ. ბარელი.

მესამე „დუმის“ აგიტაციონალური ხასიათის გავლენა.

—

— ფირუზ!
— ზახრუმალ!
— ფირუზ!
— ასტუკრაკ!
— ფირუზ!
— პოშოლ, უბირაიცა!
— ფირუზ!
— ახ, ტი მერზავეც, პადლეც, ბოლშოი სვინია, მალენკი ჩოჩორ, დურაკ, ბუივოლ! ლოთიანათ თუ გინდა დავარტყათ, გამოდი რაღა, გამოდი! მერზავეც, ტვოი მამა-პაპა ტოჟე პადლეც!
— ფირუზ, რომელ ანგელოზს ჩაუკრავს დღეს შენთვის მაგ ვირისთავ გოგრაში, რას ილანძღები, კაცო!
— არ გეწყინოს, არშაკჯან, „დუმაობას“ ვთამაშობ, არ წაიკითხე პურიშკევიჩი და მილიუკოვი?
— ვა, აგრე იტყოდი რაღა, შე ყურუმსაღო: ხალხის საქმეს ვაკეთებ თქო...

რიგოლეტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ცისკარი
ნაციონალიზმი
ზიზღი
ბუნებელ
ბაბუ
ბაბუ
ბაბუ

არის აწყობილი, რაც შეეფერება შინაარს და რაც იმას მიზნად დაუსახავს, სახელდობრ „ქელეხები“. ჩვენ კიდევ, ჩვენის მხრივ, ვაუწყებთ მკითხველებს, რომ ეს ორგანო არ არის მოკლებული თავისებურ ინტერესს. პირველ ნომრიდგანვე ბ. ყარიბი, ჩვეულებისამებრ „ოთოთაანთ ქორისა“, შეუდგა პანაშვიდებს და „ასაფლავებს“ ს. ფედერალისტებს. ა გვარ „თავგემოდებულ და გმირულათ“ ს.-ფედ. „გაცოცხის“ გამო, თურმე დიდძალი თანაგრძნობის წერილები და დეპეშები მოსდის „ჟინის“ რეს დაქტორს „ჭეშმარიტ რუსებისგან“. სხვათა შორის, სახელმწიფო დუმის ყველა მემარჯვენე და ს.-დ. დეპუტატებს, (о, святая дружба!) მამა ევლოგი. ლოცვა-კურთხევით და პურიშკევიჩ-ბობრინსკი. რჩევის თანხმად, ბ. ყარიბისათვის გამოუგზავნიათ მადლობის ღრამატა და ამასთანავე უთხოვნიათ: „ვინაიდგან თქვენი რედაქცია ბევრ კითხვებში ეთანხმება „გოლოს კავკაზის“ რედაქციასო, კარგს იზავთ ბარემლა შეუღლდეთ და შეკავშირდეთო“ მაგრამ, როგორც გავიგეთ, ბ. ყარიბი, ჯერ-ჯერობით, ვითომ ინაზება და შორს იჭერს ასეთ „პრედლოჟენიეს“...

✦ თბილისის ქართულ გიმნაზიაში შევიდა „განათლება“ და გიმნაზია განათლებაშია, მაგრამ მოწაფეთა უმრავლესობა ერთსაც გაურბის თურმე და მეორესაც.

✦ სავაჭრო-საკომისიო ამხ. „გეორგიას“ წევრთა საზოგადო კრების მიერ ამორჩეულ კომისიას თურმე დიდი პრემია-კონკურსი დაუნიშნავს, თუ გამოჩნდება ისრეთი დახელოვნებული ბუხგალტერი და ამხ. მმართველის ბ. იასე რაჭველი-მეზუზლას საბუხგალტერიო დავთრებიდგან (რომლებიც კი გადარჩნენ დაწვა-დაკარგვის) გაიგებს თუ... რაშია საქმე!

✦ რადგანაც ქართულ წარმოდგენების გასამართავად თეატრს არავინ უთმობს, **ქართველ არტისტებს** საბოლოოდ გადაუწყვეტიათ: ცოტათი ჩამოთბება თუ არა, ჯიბრზედ, წარმოდგენები გამართონ ხოლმე (ძველებურ-ბერძნულად) პირდაპირ დიღმის ან გაბაშვილების მინდვრებზე. სულერთიაო, ფიქრობენ არტისტები, ქართულ წარმოდგენებს ინტელიგენცია და შეძლებული ნაწილი საზოგადოებისა არ ესწრება და მდაბიო ხალხი კი არც იქ იუკადრისებს და „ჰამაც“ იაფათაც, უდეფეციტოთ გამოვალთო.

✦ ბ.ბ. ივ. გომართელის, თუმანიშვილის, ფირცხელავას და სხ. მიერ დაპირებული სიტყვაკაზმულ ნაწერთა კრებული, როგორც ირწმუნებიან, უსათუოდ გამოვა ამ საუკუნეში.

✦ გაზ. „ზაკავკაზიეს“ ფურცლებზედ დიდი ომია გაჩაღებული: ათასგვარ განცხადებებს მოაბარი იერიში მიუტანიათ და თითქმის ხელი ჩაუბიათ, გაუნადგურებიათ ყოველგვარი აზრიანი და ნიჭიერი ნაწერები. ბ. რედაქტორი კი ჩაკეტილა სარედაქციო ოთახში, მიმჯდარა თავისთვის კუთხეში და... ხითხითებს და სტირის...

✦ ვაჭრების საერთო სენათ გადაქცეულმა „რასპროდაჟამ“ გაიტაცა ძმა-ბიჭები ხაჩატუროვებიც და თავისს გაზ. „ტიფლისკი ლისტოკში“ დაუნიშნავთ „ოკონჩატელნაია რასპროდაჟა“. სხვათა შორის... რუსეთის ყველა საუკეთესო მწერლებისა. ეს ხრიკი მკითხველ-მყიდველის მოსატყუებლათ გამოუგონია, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ხაჩატუროვების ცნობილ პრიკასჩიკს ლევ—ყიანს, აი „სპერანზას“ სახელით რომ არის ცნობილი.

✦ ბაქოდგან გვატყობინებენ, რომ იქაურ ს.-დემ. და ს.-ფ. ორ საუკეთესო წევრთა შორის გახურებული ნარდის თამაშია თურმე გამართული. ეს ორი კვირა მთელი დღე და ღამეობით ველარაფერი მოგლიჯეს ერთმანეთს! რა საშუალებას თურმე არ მიმართეს: მათი პრინციპების გახსენება, მეგობარ-ნათესავთა ხვეწნა-მუდარა, „ვოენოე პოლოჟენიით“ დამუქრება და ბოლოს „დვორნიკმა“ თურმე ერთი ვედრო წყალიც კი გადაასხა მოთამაშეთ, მაგრამ აპა-პა!..

— დაო, შე მა— ლო ლევანიჩ!—იძახის ერთი და ბევრ ღამეებუ-ძილობისაგან გაბრუებული და გამოთაყვანებული, უაზროთ ისვრის კამათლებს.

— შე პირ ძაღლო, იაკლიჩ, კამათლებს აცურებ, რაღაც ღმერთი გიწყრება; ჭიქით აყარე, ჭიქით,—უპასუხებ მეორე და არიან ამ გვარ ჭაპან-წყვეტაში. ადგილობრივი პარტიები ამის გამო რჩევის შეკითხვას აპირებენ სახელმწიფო დუმაში. მე თქვენ გითხრათ, უკანასკნელიც ამაზედ უკეთეს და საჭირო კითხვებს არკვევს და ერთიც ეს მიემატოს!..

✦ ამ ცოტა ხნის წინედ, გაზ. „გოლოს კავკაზა-ს“ რედაქციის წევრები დიდ პრინციპიალურ საკითხს სწყვეტდნენ „ტუზემცების“ (ადგილობრივ მკვიდრნა) შესახებ: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ჭეშმარიტ რუ'ების ინტერესები მოითხოვენ, რომ „ტუზემცები“ მთლად გადავასახლოთ, ზოგი კატორღაში და ზოგიც ციმბირშიო; მეორენი კი, პირიქით, უპასუხებდნენ, რომ, ვინაიდგან ეგ გადასახლება უნაყოფო ხარჯს გამოიწვევს, ემჯობინება ზოგი სოფლებიანათ გადვწვათ და ზოგიც „პულემიოტებით“ ამოვწყვიტოთო, რადგანაც პირველ აზრს გაუმარჯვია, ამ უკაცრაული პასუხია „გაზეთის“ თანამშრომლობისათვის თავი დაუნებებიათ ცნობილ აკრობატს პალმს, დემენტიევს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვ., რაც გამოცხადდა გაზეთებშიც.

✦ სტამბა „გუტენბერგის“ პატრონი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც უნდა ამ სტამბაში რამე მასალის დაბეჭვდა, გინდ „მამაო ჩვენოც“ იყოს, იგი არ დაბეჭდავს, თუ ნება-დართული და ხელ-მოწერილი არ არის: პოლიციმეისტრისგან, მეორე ნაწილის ბოქაულისაგან, მის თანაშემწისგან, უბნის ზედამხედველისგან, უმფროს და უმცროს გოროდოვოებისგან და დვორნიკისაგანაო.

✦ „ბორჯომის მამულის“ ტყის მცველთა და უმფროსთა უმრავლესობას დაუდგენია: რადგანაც ჩვენ „ვშრომობთ“, ჩვენვე ვიმდურებთ და ჩვენის სახელით იღვლიპება ადგილობრივი გლეხობაო, ამიტომაც მამულის პატრონს შემოსავლის ერთი მეათედიც ეყოფაო და დანარჩენი... დანარჩენი—ეგ რა შენი საქმეა, მკითხველო!?

✦ ერთი ადგილობრივი მორჩილთაგანი შეჰკითხებია უმფროს ბერს:

— განა, მამაო, შეიძლება სული გაცივდეს და ავად გახდეს?

— აბა რატომ არ დაფიქრდები, შვილო: განა არ იცი, რომ მხოლოდ ხორც-შესხმულ არსებას შეუძლია გაციება და სული ხომ ხორციელი არ არის!

— მაშ თქვენ, მამაო, წუხელის რად ეეედრებოდით თქვენს სულს: „ჩემო სულიკო, ჩულქები ჩაიცვი, თორემ გაცივდებიო!?

— ?!.

✖ ჩვენ დეპეშით გვიტყობინებენ ახალციხიდგან: ტყუილია ის ხმები, ვითომც მთლად გეეცარცოთ და გეეყიდოთ საშუალო საუკუნოებში აგებულ საფარის მონასტირის ნახატები, ნაწერები, ჩუქურთმები და სხ. აქა-იქ, მიუდგომელ ადგილებში, კიდევ დარჩა ნიმუშები ძველებურ ჩუქურთმისა, რაიც მსურველს შეუძლიან ფურბინდით გაშინჯოს.

✖ **ქუთაისი**. ერთმა ადგილობრივმა „ცნობილმა“ ვექილთაგანმა მოახერხა და „მოლოროს“ ბოგატკოს მიერ დარჩენილ ქონებიდგან (?) უკვე მიიღო „ნატურით“ თვისი „სამკვიდრო“. კაცი უნდა ხერხი იყოსო... დაწვრილებით ცნობებს მოგაწვდით.

✖ **დუშეთი**. ეპისკ. ევლოგის და ადგილობრივ ბლაღოჩინის შორის ხშირი მიწერ-მოწერა გაჭართულა, მაგრამ შინაარსი ამ კორესპონდიენციებისა საიდუმლოებით არის მოცული.

✖ **სილნაღი**. თელავ - სილნაღის დილიჯნების თბილისში გამოსტუმრების წინ, ადგილობრივ ერეგბის სამღვდელოებამ საეედრებელი პარაკლისები გადაიხადა, რომ ერთხელაც არის მგზავრობას მშვიდობით ჩაეარა. გამომგზავრებულთა აქაურ ნათესავ-მეგობართა დარდი აუწერელია: ეშინიათ, არა აქვსთ, რომ მგზავრები უვნებლად ვერ ჩამოაღწევენ თბილისში.

✖ განცხადება. **კვირაში მხოლოდ ორ შაურად** „ზაკაზით“ ვლანძღავთ, სულერთია ვინც გინდა იყოს, ვასწავლით (съ ручательствомъ) ტრაბახობას, ბაქიაობას, სხვის ნათქვამის გადამახინჯებას, სხვის სულში ხელების ფათურს, სიტყვის ბანზედ აგდებას, ყოვლად უმიზეზოთ ადამიანის პიროვნების შეურაცხყოფას, თავხედობას და საზოგადოდ ყოველივე მას, რაიც ეწინააღმდეგება ზნეობიან და აზრიან ეთიკას. მისამართი: ქაჯ-ეშმაკთა ბუნაგი, რედაქცია „ეშმაკის მათრახისა“.

✖ **საოხუნჯოთ**. ამის წინა დღეებში დიდი ქარი იყო თბილისში. ვერის ხიდზედ ტრამვაით რომ მივდიოდით, ქარმა უფრო სასტიკათ დაუბერა და ზოგს თავსახურიც კი მოსტაცა.

— ვა, ვა!—შესძახა იქმე ვაგონში მჯდომმა კინტომ,—შეხეთ ერთი და რას სჩადის, ფულით რომ იყოს ასრე ხომ არ დაუბერავსო!

✖ ცნობილი მოლლა-მასრადინე ერთხელ ღამე სახლის აივანზედ გამოვიდა და ეზოში კაცი მოელანდა. რამდენიმე შეძახების შემდეგ, პასუხი რომ ვერ მიიღო, ჩუმათ თოფი გამოიტანა და ესროლა. იმ ღამეს გარეთ თავი აღარ გამოუყვია და დილით რომ გამოვიდა, ნახა, რომ ტყვიით გაუხვრეტია თავისივე ახალუხი, რომელიც წინა დღით იმის მეუღლეს ხეზედ გასაშრობად ჩამოეკიდა.

— ჰმ! დიდება ალლახსა,—ხელების აპყრობით შესძახა მოლლამ,—რომ ეს ხალათი ზედ არ მეცვა, თორემ ხომ თავი შემომაკვდებოდაო!..

გ. ა—ციხელი.

რა იქნება?

—

ფირუზ.— ომი იქნება?

დარჩო.— არა.

ფირუზ.— მშვიდობა?

დარჩო.— ვა, რას ჩამაცივდი! არც ომი იქნება, არც მშვიდობა, არც ტელეგრამა. თუ ძალიან გინდა, შტრაფი იქნება და ხოლვერა...

მზარეულთა გაჭირვება.

(ძველი ამბავი ადგილობრივ ვარიანტზე)

—

ერთ თემში დიადი დღესასწაულები დაიწყო, რომლის შესახვედრად თემის მესვეურნი დიდის მოჭირნახულობით დახვედრას ლამობდნენ... და, ღირ-



დავსცხოთ და დავსცხოთ წარსულსა და ამით დავსცეთ
თავზარი,
ვკრათ წიხლი საქართველოსა, მით მოვიპოვოთ ბაზარი.

სეულადაც შახვდნენ! უკანასკნელად გამართეს მეჯლისი, სუფრის დამაგვირგვინებელ ფლავით სურდათ ესახელათ თავი... იმ თემში, ფლავის დამზადების დიდ მცოდნედ ითვლებოდნენ რამოდენიმე მზარეული, რომელთაც თავს იდვეს გაძღოლა მეჯლისისა.

ამათვე დავალებული ჰქონდათ კარგათ მოეწყოთ დარბაზების განათება-გაჩირაღდნება.

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ქონის სანთელს პირველი ადგილი ეკავა განათებაში. არ იყო მოგონილი: არც გაზით, არც ნავთით და არც ელექტრონით განათება.

გაჩაღებული ლხენაა. სმა-პურობა, მითქმა-მოთქმა, მღერა-ყიალი... თემის თვითეული წევრთაგანი აუწყებს დამსწრე საზოგადოებას თვის ღვაწლმოსილებას, რწმენას, მის შემეცნებას. ზოგი მადიანად შეექცევა. იბღუნძება, ზოგიც ინახავს მადას ფლავისთვის.

მზე ჩაესვენა. მწუხრმა შესცვალა მზის მილეული სხივები, დაისის დროა. მოლხინეთა დარბაზი ბნელმა მოიცვა, ჩაინთქია... მზარეულთ გულს ეფონებათ, ნაკისრ მოვალეობას კარგა უძლვებიან, ამთავრებენ. ერთი ფლავი-ღა დარჩათ მისართმევად.

მზარეულთ გაახსენდათ: სალხინო დარბაზში ისევ გაუჩირაღდნებელია, დაქონილი დიდრონი შანდლები ისევ დაქნილი, დაუწმენდავ-დაუფერავი... ეჰ! „ჯანი გავარდეს ჯანიაშვილს“, თუ დაწმენდ-დაფერვა ვერ მოვასწარით შანდლების, ოღონდ ფლავი კი კარგი მოსუყე და გემრიელი დამზადდეს! მხოლოდ იმ ფიქრით ღა არიან მზარეულები გართულნი და ფუსფუსებენ. აგე, კიდეც მოასხეს რამდენიმე საარაყე ქვაბით დამზადებულ ფლავს გამდნარი ერბო, რაც კი გააჩნდათ და, ხელახლა შემოდგეს ქვაბები ცეცხლზე დაშაშუშათ.

აბა, მახარე! ერბო საკმარისია? უთხრეს ამხანაგებმა უმთავრეს მზარეულს, გემოთ ნახე ფლავი, ხომ არა აკლია რა? ან მარილათ კილოიანი ხომ არაა? მზარეულთ მეთაურმა მახარემ ჩაყო კოვზი: ჯერ ერთ ქვაბში, შემდეგ მეორეში, მესამეში და სათითაოდ დაშინჯა

რის სათნოება, რის სამართალი,
ფულია მხოლოდ ქვეყნად მართალი...
და საწყალ მსვხერპლსაც, ბურჟუას ხელში,
ოგორც რწიწილას გააქვს ფართხალი!..

გემოთი. ყოველი ქვაბის ფლავის გაშინჯვაში თანდა თან ფითრდებოდა, მთავარი მცნება ეკარგებოდა ხვითქი ასქდებოდა სახეზე, გაირინდა...

რა დაგემართა, მახარე? რას გაფითრდი-გაირინდე?!

— რაღა რას! ფლავი მშრალია, უერბოა, ძაან აკლია ერბო!..

— ნუ თუ მართლა? შესძახეს ამხანაგებმა და... მიცვივდნენ: ზოგი ფლავს, ზოგიც ერბოს ქოთნებს. მართალია, ვაი სირცხვილო! სრულიად უერბოა ფლავი, გაიძახიან ზოგნი, აღარც ერბოა, ქოთნები სუფთად ამოგიფხეკნია. სასოწარკვეთილნი შესჩივიან პირველებს დანარჩენნი. როგორც მდუღარე წყლით დათუთქული ჭინჭარი, ისე დაიჩლუტდნენ მზარეულები. რა ჰქმნან! რა ღონე იღონონ, საიდან გააჩინონ ერბო, ისიც გადამდნარი? თითქოს გეეყინათ ტვინი თავში, ველარა მოუხერხებიათ რა.

სათათბირო ღია არ არის, მაგრამ დახშული აქვს კარი!

შემოესმათ მეჯლისიდან ღაღადისი: „ხალხნო, ჯამაათნო! ბნელაში რათ გვარჩენთ, აკი, უნდა გაგეჩირაღდნათ დარბაზი? ამ ხმამ გამოარკვია ფიქრთა წყვდიადში შთანთქმული მზარეულები. ერთმა მათგანმა ჯიბლუხაძემ შეჰკივლა მედიდურად: ისევ მე გამოიყვანთ პირნათლად! რომ არც მწვადი დაიწოს და, არც შამფური! მეჯლისიც მადრიელი დაგვრჩება და ჩვენც სახელოვნად დავამთავრებთ ჩვენგან დაწყებილ ნაკისრ საქმეს და, დიდ მნიშვნეულად მიუთითა სანთლის ნაღვენთით დაქონილ დიდრონ შანდლებს, რომლის ნაწილებიც: გრდანი, რაფა და გუმბათისებურ ძირებზე „ადამის ჟამიდან“ ალაგ-ალაგ პატარ-პატარწიწკნელა ბორცვები გაკეთებულიყო ნაღვენთისაგან, თითქოს საგანგებოთ შეულესიათ ქონით შანდლებიო.

ხომ ხედავთ, განაგრძო ძალზე მოხუცმა მზარეულმა ჯიბლუხაძემ, დავხსნათ აი, ეს შანდლები, ჩავაწყოთ ქვაბებში, ფლავის ორთქლი გაათბობს შანდლებს, მოსძვრებათ ქონი, შანდლები დაიფერება, დაიწყებს ბზინვას და! უმთავრესად-კი ფლავი გამსუყდება, გაერბოიანდება ფლავი და ჩვენც ვი... სახელებთ!..

— ვაშა, ვაშა! ჩვენს ამხანაგს ჯიბლუხაძეს, დიადი, დიდებული აზრია, დიდებული! შესძახეს დანარჩენმა ამხანაგებმა. თუმცა კი უმფროსი მზარეული მახარე უგემოთ იშმუშნებოდა, ქეჩოს იკორტნიდა... დიდებული ინიციატორი არწმუნებდა პასუხ-მგებელ მახარეს, საზოგადოება მეტი ლხენისგან გაბრუებულია, იქნება ვერც კი შეატყონ ქონის გემო, ისევ ერბოს მოსცხებენ მანკს. იტყვიან შემძაღებულა, გამყიფებულა. ზოგნიც ხათრით კრინტს არ დასძრავენ!

დიახ, ბატონებო! ზოგი ხელოვანი მზირეული თან ფლავს გაამსუყებს, თან შანდლებს გაჰფერავს-დაასუფთავებს.

კ. ასათიანი.

გლეხის გოდება.

—

აღარ მეღირსა სინათლე
არ დამიამდა გულია,
რაცა ვიომე, დავთესე
ვაი რა დაკრგულია!
ერთს მთხრობელს მივყე, ვიწამე,
გადვუხსენ სული, გულია,
მნუკვა მის გზით სვლა სოფელში,
მითხრა სხვა გზები კრულია.
ვთელეთ და ვთელეთ ეს გზები,
გადავაყრუეთ ქვეყანა,
ხან ვტრაბახობდით ერთადა
ვეჩხირებოდით ყველგანა.
ვაძაგეთ სამშობლო ენა,
სარწმუნოება სოფლისა,
ქართულსა სიტყვას ვდევნიდით—
მაგინებელნი მშობლისა!
ასე მითხრეს, იმქადაგეს:
რას მიქვიან ენა, ერი,
ყველა ამას გააუქმებს
ეს-დეკების პროლეტარი.
ეხლა ვხედავ რომ თაღლითი
ყოფილა ის გზა რჩეული,
ვტყუვდებოდი, ვერ ვარჩევდი
იმ შეცდომას მე ეული.—
აღარ მეღირსა სიამე,
არ დამიამდა გულია,
რაცა დავთესე, ვიომე.
ვაი რა დაკარგულია!

დროებით ბათუმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუცესი და ჯიბგირი

(სცენა სწარმოებს ვაგონში)

—

თბილისიდან მატარებლით მოხუცებული ხუცესი სოფლისკენ მიემგზავრებოდა. მას თან გაჰყოლოდა ქალაქშივე ატორღიალებული ჯიბგირი და ყველა ხრიკებს ხმაროობდა მოძღვრის მოსატყუებლად.—მამაო,—ეკითხება ჯიბგირი და თან გვერდით ჩამოუსკუპდება: რად ხდება რომ ჩვენი მოძღვარი ჯვარს არა მწერს!—როგორ,—ყრუდ უპასუხებს ხუცესი და თან დაუმატებს: მამაშვილობას იცოდე ხმა მაღლა მელაპარაკე, ყურს მიკლია, კარკად არ მესმის. (ჯიბგირი ხმა მაღლა უმეორებს) სულიერო მამაო: ჩვენი სოფლის მოძღვარი ჯვარს არა მწერს მეთქი.—რად, შვილო, რად! მეტრიკას არ გაძლევს თუ რა არის!?—არა, მამაო: „მამაო ჩვენო“ არ იცი, ისწავლე და მაშინ დაგწერ ჯვარსო. —დიახ, და აგრეც უნდა—მოწყენით-დაბოლოვა... აბა ერთი მითხარით რა ძნელია „მამაო ჩვენოს“ შესწავლა? აი თუ ახლოს არსად გადმოხტები, გორში მივდივ რ და თუ კი გულით მოინდომე მანამ სუ ზეპირად შეგასწავლი კიდეც... —აბა, მაგაზედ მეტ სიკეთეს რას მიზამთ, მამაო; დაუვიწყარი იქნება ჩემ ხსოვნაში თქვენი სახელი.—მაშ კარგი შვილო, და გაიმეორე ის, რასაც მე გეტყვი.—დიახ, მამაო, კარგი, დიდი მადლობელი დაგრჩებით.— ხუცესი დაიწყობს: მამაო ჩვენო.

— მამაო ჩემო, (ჩუმის ხმით იმეორებს და ნელ-ნელ გვერდზე ეკრობა)

რომელი ხარ,

— ჯიბგირი ვარ!

— ცათა შინა,

— თქვენს წინა,

წმიდა იყავ

— წმინდა არის,

სახელი შენი

—სახელი ჩემი.

მოვედინ სუფევა შენი

— მოვძებნე ჯიბე შენი, (მოჰყვება ანაფორის ჯიბეში ხელების ფათურს)

იყავნ ნება შენი

— იყოს ნება ჩემი,

ვითარცა ცათა შინა

— ვითარცა ჯიბესა შინა,

ეგრეცა ქვეყანასა ზედა

— სრულადაა მაძებარსა ზედა. (ამოცლის კიდეც ჯიბიდან პორტმანს და შეინახავს უბეში)

პური ჩვენი არსებობისა

— ფული ჩვენი არსებობისა.

მომეც მე დღეს

მომეც ხომ დღეს. (მგზავრები ხედვენ ჯიბგირი როატყუებს და ჩუმად იცინიან)

და მომიტევენ ჩვენ

— და ამოგაძერ შენ,

თანანადებნი შენნი

— ჯიბეს ნადები შენი!

ვითარცა ჩვენ

— ეგრეცა შენ,

მივუტებებთ თანანადებთა

— მომიტევებთ თანამხლებელთა,

მათ თქვენთა

— მე თქვენთა,

და ნუ შემიყვანებ

— და ნუ შემიყვარებ

ჩვენ განსაცდელსა

— შენ გამცარცველსა...

დაათავებენ „მამაო ჩვენოს“ თუ არა, ჯიბგირი გაშორდება მადლობით ხუცესს. მოტყუებული მოძღვარი გორის სმდგურზე ჯიბეს მოიქექს, მაგრამ რაღა დროს, ჯიბეში თაგვებს ხრაგა-ხრუგი გააქვთ. ხუცესი წვერს იგლეჯს და ბოდებით მოსთქვამს: ნეტავ მეც „მამაო ჩვენო“ არ მცოდნოდაო.

ნელიკო.

პროვინცია.

ქ. სოხუმი (ბანკის საქმე). თითქმის ათ წელიწადზე მეტია, რაც სოხუმში არსებობს „სოხუმის საზოგადოების საურთიერთო ნდობის ბანკი“ პირველად ამ ბანკის თავმჯდომარედ სოხუმის საზოგადოებამ ბ. ტამარა აირჩია.

ბ. ტამარას, როგორც კომერციულ საქმის კარგათ მცოდნე პირს, ბანკის საქმე თვალსაჩინოდ მიყავდა, ბანკი საზოგადოებას აკმაყოფილებდა და თღითი დღე წარმატებაში შედიოდა.

მოაწია თუ არა მეორე არჩევანმა ბ. ტამარამ ბანკის თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა და მასვე გაყვნენ ყველა მისი ამხანაგები. დარჩნენ მხოლოდ ბუგალტერი ბ. გვათუა და კასირი ბ. კოტლიაროვი.

ბანკის თავმჯდომარედ საჭირო იყო საზოგადოებაში ცნობილი და საქმის მცოდნე პირი.

ბევრს ეჭირა ამ თანამდებობაზე თვალი, მაგრამ ამაოდ. ერთი ადგილობრივ ვაჭრის რჩევით აირჩიეს ბანკის თავმჯდომარეთ ვინმე ბოსტანჯოღლი, საზოგადოებაში უცნობი, ცხრამთას იქიდან გადმოხვეწილი კაცი. მას ამხანაგათ აურჩიეს ბ. ს. თურქია, ამ საქმისთვის მოუმზადებელი კაცი.

ამ ნაირად ჩვენი ბანკის გამგებელნი, ერთიმეორის „მჯობნი“ ერთად შეიკრიბნენ.

ამ მეთაურების ხელში უკვე ორმა-სამმა წელიწადმა განვლო და ბანკი წარმატების მაგივრად, გაკოტრების გზას დაადგა.

ბ. ბოსტანჯოღლს გონია ბანკი მარტო მისთვის არის დაარსებული. რაც უნდა იმას ჩადის და ისე ატრიალებს ბანკის საქმეს.

სოხუმის ღარიბ საზოგადოებისთვის ჩვენი ბანკი ხელ-მიუწდომელი შეიქნა: გამგებელნი ხელ ჯოხიანი დგანან ბანკის კარებთან და კაი ბიჭია

ვინმე ფულს მოსთხოვს, თუ ორსართულიანი სახლი არა აქვს წამოჭიმული შიგ შუა ქალაქში. ბანკის წესდებულება მისთვის არ არსებობს.

ბ. კატლიაროვი ყოველ წლის ბოლოს ეხვეწება საზოგადოებას: „სამასი მანეთი მაინც გამიჩინეთ წლიურად, ფულის აღებ-მიცემის დროს გადასაყოლებლადა, ანდა გამანთავისუფლეთ ამ თანამდებობიდან. ღმერთი, რჯული ბრმაცა ვარ და ყრუცაო,“ მარა ვინ უჯერებს, გინდა თუ არა, მაინც იმსახურეო—ისიც მსახურობს...

ბ. გვათუა კარგი ბუგალტერია, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ თავისი სწავლა და ცოდნა ყუთში ჩაჭკეტა და სხვისი თავით მუშაობს. თუ საზოგადოებამ დროზე ყურადღება არ მიაქცია ბანკის საქმეს, უეჭველია ახლო მომავალში საქმის ლიკვიდაცია აუცილებელი შეიქნება *).

კოლხიდელი.

ქ. თელავი (აქაური რამე რუმე.) კასების ისტორია ბურუსით არის მოცული. მაინც დასწუესი იქიდან უჩანს, როცა კასების ბაბაშამ იგინ ბავდიჩმა თელავში მოიწვდინა გადმოსვლა და საზოგადო ასპარეზზე მოდგაწეობა, რისთვისაც ნიადაგი მოიმზადა.

ერთ მშვენიერ დღეს კრება მოახდინა, რომელზეაც სამდგელოებაც ბლომად დესწრო და გაბოუცხადა დამსწრეთ: ვინც მოკვდება 500 მანეთს საჩუქრს მიიღებსო. მართალია საიქიოს გამგზავრება მაგდენათ სანუკვარი არ არის, მაგრამ ვინ არ გაისეირებდა, თუ კი 500 მან. ჩაჩხრიალებდა. ყველაზე მეტად მდგდლებს დაუჯდათ ჭკვაში; ამ 500 მან. იქ ხომ არ გავატანთ და გვიხარიდეს მსუქანი ქალეხ-კორკოტები. წინ გასაძღოდს და საწირავებს, ხომ წინ არაფერი უდგაო.

ამნაირად დაიბადა თელავში კასა. ბირველად გამგენი არაფერს იდებდნენ, მერე კი მამონმა წასძღია და ჯამაგირები დაინიშნეს თითო მკვდარზე 50 მან. ამას გარდა ბუხუდებიცა რჩებოდა და ფაიტონით სიარული და მსუქანი ქალეხები მეტი იყო. ყველა ამათ შეჭნატროდა, მერე რამდენიც მეტი მოკვდებოდა, ამათთვის სარფა იყო. განა ჩვენ კი ვერ გავხსნიო კასებსაო, იძახდნენ სხვები და ხელად მოჭყვა მეორე, მესამე, მეათე და ვინ მოსთვლის რამდენი, ჩასაწერი რომ ადარვინ დარჩა, სოფლებში დაიწყეს სიარული და ძალად წერვა.

არც ერთი კაცი ადარ დარჩა კასაში ჩაუწერავი, გარდა მოშაკვდავთა და მოხუცებულებისა.

ამ დროს როსტომოვსკი, უკანონოდ, როსტომაშვილი თბილისში იყო და მის მიერ აღმოჩენილ ამერიკაზე-კი სხვები ბარბაშობდნენ.

მალე იგი თელავში ჩამოვიდა, [illegible] ვირვეულებავ, ვერც ერთი კაცი ვერა ჭკოვა კასაში ჩაუწერავი, გარდა მომაკვდავებისა. არც სამდვდელოება იყო კმაყოფილი, ბებრები ხშირად იხოცებიან და ესენი კი კასაში არ არიან ჩაწერილნი, რომ ხვედრი ფული ხელგაშლილად მოგვითხოვოთო.

ეს გარემოება ერთის მხრივ და უფრო ის, რომ საზოგადო საქმისთვის უნდა შეეწირა თავი, დაეარსა ბებრების კასა, რომელშიაც მიიღო ყველა ბებერი, უძღური, ავადმყოფი და მომაკვდავი. როსტომაშვილის მტრები ამობენ: მას ერთად ერთი მიზანი ჭქონდა, მეტი რომ დაიხოცებოდა, მეტი ფული დარჩებოდა ჯიბეშიო, მაგრამ ეს ტეუილია, ბაბა სიადამ დარჩება, რომ თუ აქამდე ერო ოთახში იდგა, ეხლა შშვენიერი სახლები დიგზირა, მოაწყო თბილათ, დიდი კაცობაც მოინდომა, ე. ი. ადიუტანტი გაიჩინა, ზის და რიალის ხმით სტკბება, ყველა ამას ხარჯი უნდა და თვეში 100 მან. რას უზამს, ისიც გაძვალტეკვებულ ბებრების კისრიდან ამძვრადი, თუ თავისი ადადი ბენსია არ ეშველებოდეს,

— თელაველ ქალთა მოდგაწეობა ძველთაგანვე გაოქმულია, რამდენი საზოგადო საქმე შეუქმნიათ, ვინ მოსთვლის. ავიღოთ მაგ. ქალთა-წრე, ქალთა საზოგადოება ანუ ქალთა კრება, რომელშიაც თავადები და მოქალაქენი ერთად ვერ მოთავსდნენ და ცალ-ცალკე დადიეს სული, სომეს ქალთა საზოგადოება და ამას მიუმატეთ არა ბირდაბირი მათი შრომა: დოტო-თამაში, ბულგარის ტკეცნა, ნადიკვარზე არშ... (ეს დარჩეს, ადარ ვიტყვი) კასებში ჩაწერვა და ჭორიკანობა, რომელშიაც ვერ აჯობებს ვერც ერთი ბულგარნი კომიტეტი.

ამის შემდეგ რადა დრო დარჩეთ, რომ ვიდაც ბარეკეა თუ ბაიკი, კიდევ იძახის დდეობები და საჩუქრებიო. ჭე, არც მე მინდოდა შეგხებოდი, მაგრამ არუთინას და გაბოს მუშების ჩიგილმა მაიძულა, დდეობები ჩვენ ჭირად მოდის, ეს ბარბარე, ეს ნინო, ეს შუშანიკა, ეს დარეჯანაო და იმდენ მისალოტ ტორტებს, კრენდილებს და კულიჩებს გვაცხობინებენ, რომ ვერ ვასწროთ და არც ხაზეინები გვშვდიან, არ იქნება, თქვენ მუშები ხართ და ჩვენ ხაზეინებიო.

— ვინც თელავის კლუბში არა ყოფილა იმას არც სკანდალები უნახავს. ბანქო, ბილიარდი, ვახშამი და სკანდალი, ეი მ.ა.ა ანკარიში და მერე მამათა დატუქსვა, სკანდალისტს ნუდარ შემოუშვებთო, მაგრამ ეს რომ შესრულონ ადარც მ.ა.ა.ა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბევრი არის ჩვენში ფლიდი, ბევრიც ცრუ, ტაკი-მასხარა,
ვისაც უსწრო „ნიშადურმა“, ჯოჯოხეთში გადაყარა!..

იმას ტერ-ტერას კასიდამ ერთი ორსული დედაკაცის ბრემია მიეცემა.

— ქალაქში ხმა გავრცელდა ბურგულ სამარხ კასის წევრთ 200000 მან. უბოვნეს, რომელიც მიიჩემესო; მდ. შიუკაშვილი და სალავიოვი საზღვარ გარედ წავიდნენო, მაგრამ შუმოწმების შემდეგ ტუუილი ადმოჩნდა ეს ამბავი.

— ბ-ნი ი. ბ. როსტომაშვილი აცხადებს, ვინც თელავის მაზრაში ერთ კაცს მაინც იბოვის კასაში ჩაუწერავს, იმას ჩემი კასიდამ ერთი მკვდარი ეჩუქებოო.

პაიაკი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გაზ. „ისარმა“ აღარ იკისრა ჩვენსა და ვინმე მერკურის შორის კამათის შესახებ წერილის დაბეჭდვა. გთხოვთ: თქვენ იქნნიოთ სტუმართ მოყვარეობა და ადგილი დიუთმოთ ჩვენს პასუხს. ბ-ნო მერკურო! ჩვენ სადბურის 38 მუშამ თქვენ გამოგიწვიეთ სამედიატორო სასამართლოში. იმ დღიდან თქვენვე დაგვიდეთ ვადა 25 დღე. ჩვენ დიახ გადროვეთ; მაგრამ თქვენი 25 დღე თითქმის 25 კვირათ გადაიქცა, ამის შემდეგ განმეორებით გთხოვეთ მოგეცათ ჩვენთვის პასუხი. აქ თქვენ ერთი ხერხი მოიგონეთ: დაგვინიშნეთ წარსული წლის შობის მეორე დღე და ისიც სად? უეჭველად იქ, სადაც ოქვენი საბრძანებელია! კაი ხერხია, საქმის დროებით შეჩერებისათვის. რობორ? ნუ თუ ჩვენ 38 მუშას, უნდა სამუშაოდან ხელი აგველო და ტატლუდან ქ. თბილისში შენა გზლებოდით? და შენ კი ერთს, შენის სამის მედიატორეთი არ შეგეძლო ჩვენთან მოსვლა? შეგეძლო, დიახ კარგად შეგეძლო, ვინაიდგან ციხეში არა ბრძანდები, მაგრამ... ისა, რომ ჩვენ მაინც არ მოგეშვებით მტყუანს, შენს მატყუარა კარამდე მოგყვებით და კვლავ მოგაგონებთ. რომ ეს 38 მუშა თქვენგან პასუხსა ვთხოულობთ. თქვენი გაჩუმება მიეწერება თქვენს სიმტყუენეს ჩვენსა და ტყემალაძის წინაშე.

სადგურ ტატლუს 38 მუშის მონდობილობით ხელს ვაწერთ ამავე სადგურის მუშები:

ვასილ რაზმიაშვილი, გ. მამესწარაშვილი. Л. Вардзелашвили, გრ. აბაშიძე.

რედ--გამომცემელი ვალერიან გუნია.